ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP

საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

სატელევიზიო ტოკ-შოუების მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020

საქართველოს
ჟურნალისტური
ეთიკის ქარტია

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟუნრალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

სარჩევი

პროექტის შესახებ 4

მეთოდოლოგია 4

საზოგადოებრივი მაუწყებელი 6

თავისუფალი ხედვა 6

დებატები 2020 7

კვირის ინტერვიუ 7

დღის თემა 8

რუსთავი 2 8

ღამის კურიერი 9

იმედი 10

არენა 10

ღია ეთერი 12

ტვ პირველი 13

საჯარო პოლიტიკა 13

რეაქცია 13

პოლიტიკური პარასკევი 15

მთავარი არხი 16

მთავარი აქცენტები 16

ღამის მთავარი 17

ფორმულა 18

პოლიტმეტრი 19

გიორგი თარგამაძის ფორმულა 19

პოლიტიკის ფორმულა სოფო ზურაბიანთან ერთად 21

საქართველო ირჩევს 21

პალიტრა TV 22

360 გრადუსი 22

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია 24

თავისუფალი სივრცე 24

არჩევნები 2020 25

მთავარი აჭარაში 26

სათქმელი 26

POSTV 27

პოლიტიკური ინტერვიუ შალვა რამიშვილთან ერთად 27

არჩევნები 2020 28

კავკასია 29

ბარიერი 29

პოლიტიკა არჩილ გამზარდიასთან ერთად 30

ობიექტივი 31

ღამის სტუდია 31

მაესტრო 33

პროექტის შესახებ

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ განახორციელა მედიის მონიტორინგი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში.

ქარტიის მონიტორები 2020 წლის 15 აგვისტოდან 21 ნოემბრის ჩათვლით აკვირდებოდნენ 12 სატელევიზიო არხის საუკეთესო საეთერო დროს (პრაიმ ტაიმში) გასულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუებს. მონიტორინგი ხორციელდებოდა შემდეგ სატელევიზიო არხებზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, იმედი, ტვ პირველი, მთავარი არხი, ფორმულა, პალიტრა TV, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია, POSTV, კავკასია, ობიექტივი, მაესტრო. ასევე, მონიტორინგდება მთავარი საინფორმაციო გამოშვების ის ნაწილი, სადაც რესპონდენტებთან ათ წუთზე მეტი ქრონომეტრაჟის ინტერვიუს სთავაზობენ მაყურებელს.

მეთოდოლოგია

ტოქ-შოუების საარჩევნო მედიამონიტორინგი მოიცავდა მხოლოდ თვისებრივ კომპონენტს. ქარტიის მონიტორები აკვირდებოდნენ, თუ როგორ ჩანდნენ მონიტორინგის სუბიექტები გადაცემებში. თითოეული ტოქშოუ ფასდებოდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: იყო თუ არა გადაცემის თემა რელევანტურად შერჩეული, რამდენად შეესაბამებოდა მოწვეულ სტუმართა კვალიფიკაცია სადისკუსიო თემას, სტუმრების შერჩევისას ხომ არ ჩანდა მიკერძოება, როგორ მიმდინარეობდა მსჯელობა, რამდენად კარგად მართავდა დისკუსიას წამყვანი, როგორი იყო მისი კითხვები, იყო თუ არა მომზადებული, აძლევდა თუ არა იგი სტუმრებს ცრუ ინფორმაციის გავრცელების საშუალებას, ხომ არ იყო გამოყენებული გადაცემა სიძულვილის ენის გასავრცელებლად და, საერთო ჯამში, იღებდა თუ არა მაყურებელი რაიმე დამატებით ინფორმაციას, რაც მას გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარებოდა.

მონიტორინგის სუბიექტებად შერჩეულნი იყვნენ: პრეზიდენტი, მთავრობა, პოლიტიკური პარტიები.

ძირითადი ტენდენციები:

- საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, რომ სამაუწყებლო მედია მკვეთრად პოლარიზებულია, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მაუწყებელთა ერთი ნაწილი ხელისუფლების სასარგებლოდ იყო მიკერძოებული, მეორე კი - ოპოზიციის. მმართველი პარტიის წარმომადგენლები უარს აცხადებდნენ ზოგიერთ არხზე სტუმრობისგან.

- სამონიტორინგო პერიოდში ტოქშოუების ნაწილში არ იყო დებატები პოლიტიკურ ოპონენტებს შორის, ამის ნაცვლად, მაუწყებელთა ნაწილი აუდიტორიას აცნობდა თითოეული პარტიის საარჩევნო პროგარამასა და ხედვებს;

- ტოქშოუების წამყვანების კომენტარებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები უარს აცხადებენ ტელეკომპანია „ფორმულაში“, „TV პირველსა“ და „კავკასიაში“ ვიზიტზე, მაშინ, როდესაც “იმედსა” და “POSTV-ს” ხშირად სტუმრობდნენ. მმართველი პარტიის წარმომადგენლები არ იყვნენ წარმოდგენილი არც „მთავარ არხზე“. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ასევე უარს აცხადებდნენ მონაწილეობა მიეღოთ „პალიტრა TV-ის“ ეთერში გამართულ დებატებში და ისინი, ამ არხზე ძირითადად წარმოდგენილი იყვნენ მარტო, ოპონენტების გარეშე, გადაცემის ბოლო ნაწილში;

- ტელეკომპანია „ობიექტივი“ კვლავ რჩება „პატრიოტთა ალიანსის“ პლატფორმად, სადაც ისინი, პრაქტიკულად, ყველა გადაცემაში საუბრობენ და ეწევიან აგიტაციას პარტიის სასარგებლოდ. წამყვანებიც ღიად გამოხატავენ მათ მხარდაჭერას. არხზე ხდებოდა ანტიდასავლური პროპაგანდისა და სიძულვილის ენის ტირაჟირება;

- ტელეკომპანიების „მთავარი არხის“, „POSTV-სა“ და „ობიექტივის“ რიგ ტოქშოუებში წამყვანების მხრიდან ადგილი ჰქონდა შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენებას;

- საანგარიშო პერიოდში „მაესტროს“ ეთერში არ გასულა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას „თავისუფალი ხედვა“, რომელიც 9 სექტემბრიდან გადიოდა ეთერში, ოქტომბრიდან კი არხმა მაყურებელს წინასაარჩევნო დებატები შესთავაზა - „დებატები 2020“. მონიტორების დაკვირვების ქვეშ ასევე იყო გადაცემა „კვირის ინტერვიუ” და „დღის თემა”.

თავისუფალი ხედვა

გადაცემა „თავისუფალი ხედვა“ ეთმობოდა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების განხილვას. თითოეულ გადაცემაში მიწვეული იყო მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი. ფორმატიდან გამომდინარე, გადაცემა არ საჭიროებდა ოპონენტს. კენჭიყრის დღემდე, სექტემბერში, გავიდა 4 გადაცემა, სადაც მონაწილეობა არ მიუღია მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს.

გადაცემის წამყვანი იყო მომზადებული, იცნობდა საარჩევნო პროგრამებს და გადაცემის მიმდინარეობისას ცდილობდა მიეღო პასუხები საჭირო კითხვებზე საარჩევნო პროგრამიდან გამომდინარე. საჭიროებისდა მიხედვით, იშველიებდა ამონარიდებს სუბიექტების საარჩევნო პროგრამებიდან. კითხვები ეხებოდა მათ შორის ისეთ საკითხებსაც, თუ როგორ მოახერხებს წინასაარჩევნო პროგრამის განხორციელებას პარტია, რამდენად აქვს აღნიშნულისთვის ფინანსური, ინტელექტუალური და ადამიანური რესურსი. შეკითხვები ეხებოდა იმასაც, თუ ვისთან შექმნის კოალიციას პარტია პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაში.

გადაცემა იყო დაბალანსებული და მეტნაკლებად კრიტიკული სტუმრების მიმართ. ასევე, გადაცემები იყო ინფორმაციული და ამომრჩეველს საშუალებას აძლევდა მოესმინა პოლიტიკური პარტიების ხედვები.

პირველი ტურის შემდეგ, 3 ნოემბრიდან გადაცემა კვლავ განახლდა. განხილვის საგანი ამჯერად ჩატარებული არჩევნები, ოპოზიციის გეგმები და საპროტესტო აქციები იყო. გადაცემის სტუმრები სექტემბრის თვისგან განსხვავებით მმართველი პარტიის წარმომადგენლებიც იყვნენ. წამყვანი თანაბრად კრიტიკული იყო როგორც ოპოზიციის, ასევე სახელისუფლებლო წარმომადგენლების მიმართ. ტოქშოუ მაყურებელს აძლევდა ამომწურავ ინფორმაციას, როგორც ოპოზიციური პარტიების გეგმებზე და დიალოგების შესაძლებლობაზე ხელისუფლებასთან, ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა მოესმინათ ხელისუფლების მოსაზრებები, თუ როგორ ხედავენ იმ მოლაპარაკებების პროცესს რომელსაც ფასილიტაციას ევროკავშირი და ამერიკის ელჩი უწევენ.

დებატები 2020

გადაცემა „დებატები 2020“ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში პირველი ოქტომბრიდან გაიწყო. გადაცემის დასაწყისშივე წამყვანმა განმარტა, რომ ჯამში გავიდოდა რვა გადაცემა, საიდანაც ოთხი დაეთმობოდა კვალიფიციურ სუბიექტებს, ოთხი კი - არაკვალიფიციურს. გადაცემის ფორმატი გულისხმობდა სამ ნაწილს - პირველ ბლოკში თავად წამყვანი უსვამდა სტუმრებს კითხვებს, მეორე ბლოკში სტუმრებს ჰქონდათ საშუალება თავად დაესვათ კითხვები სასურველი ოპონენტისთვის, მესამე ნაწილში კი სტუმრებს ჰქონდათ მოკლე შეჯამების საშუალება.

გადაცემას ჰყავდა ორი სხვადასხვა წამყვანი, რომლებიც მონაცვლეობით უძღვებოდნენ ეთერს. წამყვანები აკონტროლებდნენ დროის განაწილებას და არ იყვნენ მიკერძოებული რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის მიმართ, თუმცა, წამყვანი, ფორმატიდან გამომდინარე, უფრო მეტად არბიტრის როლში იყო.

მაგალითად, 15 ოქტომბრის გადაცემაში, მართალია ცხადი შესამჩნევი იყო, რომ წამყვანი იყო მომზადებული, იცნობდა პარტიების ხედვებს ძირითად საკითხებთან მიმართებით, თუმცა მისი კითხვები უფრო ზოგადი იყო და ფორმატიდან გამომდინარე, ვერ სვამდა დამაზუსტებელ კითხვებს.

დებატების მიზანია არა მხოლოდ გააცნოს აუდიტორიას კანდიდატი, არამედ დაანახოს, რამდენად არის ის მზად, დაპირებების შესასრულებლად. ქარტიის სახელმძღვანელო წესების თანახმად, „დებატები არ ნიშნავს პარტიის პრეზენტაციას ანდა ერთ კითხვაზე ყველა კანდიდატის თანაბარი ქრონომეტრაჟის მქონე კომენტარის მოსმენას. კარგად დაგეგმილი დებატებისას ან თავად წამყვანმა უნდა გაუწიოს ოპონირება კონტრკითხვებით, ანდა კონკურენტ კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ დრო ერთმანეთისთვის კითხვების დასმის თუ კომენტარის გაკეთების“.

აშნიშნულ გადაცემაში კი წამყვანი, ფორმატიდან გამომდინარე, ნეიტრალური არბიტრი უფრო იყო, ოპონენტებმა კონტრკითხვების დრო ურთიერთბრალდებებისა და ურთიერთლანძღვისთვის გამოიყენეს და საბოლოოდ, მაყურებელმა, ვერ მიიღი იმგვარი არგუმენტირებული ინფორმაცია, რაც მას ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარებოდა.

კვირის ინტერვიუ

კვირის ინტერვიუ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სექტემბრის თვიდან გადიოდა. საერთო ჯამში, საანგარიშო პერიოდში, სულ 8 გადაცემა გავიდა, რომელთა ნაწილში არ მონაწილეობნენ პრეზიდენტი, მთავრობა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

საშუალოდ 30 წუთის ხანგრძლივობის პირისპირი ინტერვიუები საკმაოდ დინამიკური იყო. წამყვანი კარგად იყო მომზადებული, ინარჩუნებდა მშვიდი საუბრის ტონს, დელიკატურად აწყვეტინებდა სტუმარს საუბარს და კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით უსვამდა მნიშვნელოვან და დროულ კითხვებს.

დღის თემა

გადაცემაში წამყვანი დღის თემას სტუმრებთან ერთად განიხილავს. საანგარიშო პერიოდში „დღის თემა" 6 ნოემბრიდან დაიწყო. თემები ყოველთვის აქტუალური იყო, სტუმრები კი ძირითადად შერჩეული იყვნენ თემის შესაბამისად, ასევე გათვალისწინებული იყო მათი პოლიტიკური მრწამსიც - თითო წარმომადგენელი ოპოზიციასა და ხელისუფლებიდან. მიუხედავად ამისა, მაყურებელს დებატები არ უხილავს, რადგან ჯერ ერთ რესპოდენტს ესაუბრებოდა წამყვანი, შემდეგ კი - მეორეს.

აღსანიშნავია, რომ ყველა გადაცემაში ჯერ მონაწილეობდა ოპოზიციის წარმომადგენელი და შემდეგ სტუმარი ხელისუფლებიდან. აღნიშნული მმართველი პარტიის წარმომადგენლებს აძლევდა საშუალებას შეეფასებინათ ოპოზიის წარმომადგენელთა გამოსვლები, რისი საშუალებაც ოპოზიციას არასოდეს ეძლეოდა.

ჟურნალისტი მომზადებული იყო ინტერვიუებისთვის და უმეტესად სვამდა კრიტიკულ კითხვებს. თუმცა 9 ნოემბრის გადაცემაში გამოიკვეთა შემთხვევა, როდესაც წამყვანმა რესპოდენტის კითხვაზე პასუხის არიდების საშუალება მისცა.

საერთო ჯამში, გადაცემა საზოგადოებისთვის ინფორმაციული იყო.

რუსთავი 2

ტელეკომპანია „რუსთავი 2-ზე" მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას „ღამის კურიერი", რომელიც 31 ოქტომბრამდე სამშაბათს და პარასკევს, ხოლო 1 ნოემბრის შემდეგ თითქმის ყოველ სამუშაო დღეს გადიოდა ეთერში.

ღამის კურიერი

ოქტომბრამდე გადაცემაში, ძირითადად, ერთი სტუმარი და ერთი წამყვანი იყო, გადაცემას ინტერვიუს ფორმატი ჰქონდა, წამყვანი მომზადებული იყო.

მას შემდეგ, რაც გადაცემის ფორმატი შეიცვალა და გადაცემა წინასაარჩევნო გახდა, თითოეულ გადაცემაში სტუმრად იწვევენ ერთი კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ლიდერს ორ თანაპარტიელთან ერთად. როგორც წამყვანებმა აღნიშნეს, სტუმრების რაოდენობაზე შეზღუდვა გამომდინარეობს კორონავირუსის გამო არსებული რეგულაციებიდან. გადაცემის ფორმატი შემდეგნაირი იყო: გადაცემის მიმდინარეობისას მაყურებელს აცნობენ პარტიის პროგრამას, ასევე, მათ ორი წუთის განმავლობაში შეუძლიათ მიმართონ ამომრჩეველს, თუ რატომ უნდა დაუჭირონ მხარი და რას სთავაზობენ. ყველა პარტიას თანაბრად ეძლევოდა ამის უფლება და ყველას თანაბარი დრო აქვს გამოყოფილი. დანარჩენი დრო ეთმობა თითოეული სტუმრისთვის კითხვების დასმას. შეკითხვები ეხებოდა როგორც საარჩევნო პროგრამას, ისე კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტების დამოკიდებულებას სხვადასხვა მნიშვნელოვანი, გახმაურებული საკითხებისადმი. იხსენებენ მათ განცხადებებს მათივე წარსულიდან და ინტერესდებიან ამავე საკითხზე სტუმრების ამჟამინდელი პოზიციით.

ოქტომბრიდან გადაცემას ჰყავდა სამი წამყვანი, რომლებიც მონაცვლეობით, თემატიკის მიხედვით უსვამდნენ კითხვებს სტუმრებს. კითხვები უმეტესად კრიტიკული იყო, წამყვანები იყვნენ ნეიტრალური და მომზადებული. აღსანიშნავია, რომ პირველი ტურის შემდეგ დისკუსია წამყვანების მიერ წარმართული იყო გადაცემაში გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც არ დაისვა დამაზუსტებელი კითხვა პასუხიდან გამომდინარე. მაგალითად, 22 სექტემბერს, გიგა ბოკერიამ განაცხადა, რომ ისინი შექმნიან 100 ათას ახალ სამუშაო ადგილს გადასახადებისა და ბიუროკრატიის შემცირების გზით. გადაცემაში მაყურებლისთვის ნათელი არ გახდა, რა ურთიერთკავშირი არსებობს სამუშაო ადგილების შექმნასა და გადასახადების შემცირებას შორის, ან რა მექანიზმით აქვს პარტიას დათვლილი, რომ დასახელებული ოდენობის თანხის დაზოგვით 100 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნება, ან როგორ დაამონიტორინგებს სახელმწიფო იმას, თუ რამდენი სამუშაო ადგილი შეიქმნა ყოველწლიურად სწორედ მათ მიერ გატარებული ღონისძებების შედეგად.

გადაცემებში არ გამოუყენებიათ სიძუვილის ენა და არ გაუვრცელებიათ ჰომოფობიური განწყობები. იყო შემთხვევა, როდესაც სტუმრის განცხადება იყო სექსისტური და დისკრიმინაციული, რაზეც წამყვანს ჰქონდა შესაბამისი რეაქცია და სტუმარს მიუთითა, რომ ეს იყო დაუშვებელი.

მაგალითად, 6 ოქტომბრის გადაცემაში „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა: „სამმა დედალმა ქოცმა მიჩივლა, იმის თაობაზე იღებდნენ

კანონს, ცოლმა უჩივლა ქმარს, რომ ერთი წლის წინ მას ეძინებოდა და ღამე შეაწუხა, დაიჭერდნენ გაუპატიურებაზე, ამაზე გავაკეთე განცხადება, რომ ერი, სადაც შობადობა არ არის, სადაც ქროწინება არ არის, ითხოვს დემოგრაფიის ხელშეწყობას, გამრავლებას, დახმარებას, მხარდაჭერას და არა სისხლის სამართლის კოდექსის ლოგინში შედებას, ამაზე მიჩივლა სამმა ქოცმა აქტივისტმა დედალმა." ეს განცხადება იყო გენდერულად დისკრიმინაციული, სექსისტური და აჩვენებდა ძალიან დაბალ მგრძნობელობას სექსუალური შევიწროებისადმი, რაზეც წამყვანს ჰქონდა ადეკვატური რეაქცია და სტუმარს მიუთითა ქალების მიმართ არსებული სტერეოტიპების გაძლიერების დაუშვებლობაზე.

1 ნოემბრის შემდეგ გადაცემებში მუდმივად იყო დისკუსია საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შექმნილ პოლიტიკურ კრიზისთან დაკავშირებით. მოწვეული სტუმრები იყვნენ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები, თუმცა ცალ-ცალკე იყვნენ გადაცემებში წარმოდგენილი.

გადაცემის მიმდინარეობისას წამყვანების მიერ დასმული კითხვები ორიენტირებული იყო გამოსავლის პოვნაზე და დაპირისპირებულ მხარეებს შორის დიალოგის რესურსების ძიებაზე.

იმედი

„იმედის" ეთერში საანგარიშო პერიოდში მონიტორინგდებოდა გადაცემა „ღია ეთერი" და „არენა". გადაცემები კვირაში ერთხელ გადიოდა ტელეკომპანიის ეთერში. „არენა" 8 სექტემბრიდან ყოველ სამშაბათს, ხოლო „ღია ეთერი" - 9 სექტემბრიდან ყოველ ოთხშაბათს.

არენა

მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი გადაცემის მიმდინარეობისას დიდ დროს უთმობდა ოპოზიციაზე საუბარს, საანგარიშო პერიოდში გადაცემა „არენას" მხოლოდ მმართველი პარტიის წარმომადგენლები სტუმრობდნენ, გამონაკლისი იყო „ქართული დასის" წარმომადგენლის - ჯონდი ბაღათურიას ვიზიტი.

გადაცემაში ძირითადი სასაუბრო თემა იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდის განხილვა და მისი შედარება დღევანდელ მდგომარეობასთან. არჩევნების პირველი ტურის შემდეგ კი ძირითადად განიხილებოდა არჩევნების შემდეგ საქართველოში განვითარებული მოვლენები, თუმცა ისევ ოპოზიციის კრიტიკის ჭრილში.

წამყვანი მიკერძოებული იყო ხელისუფლების მიმართ. მაგალითად, 6 ოქტომბრის გადაცემაში, როდესაც სტუმრად ჰყავდა დედაქალაქის მერი, წამყვანი საუბარს იწებს ტექსტით „უგულავას გაყიდულ იპოდრომს დედაქალაქს ივანიშვილი უბრუნებს. კიდევ ერთი მასშტაბური საქველმოქმედო პროექტი“.

ჟურნალისტი არ იყო მომზადებული, იგი ძირითადად ასახელებდა თემას, რაზეც სტუმარს სურდა საუბარი. სვამდა ზოგად კითხვებს, რომელზე პასუხითაც მმართველი პარტიის წარმომადგნლები საკუთარ თავს წარმოაჩენდნენ დადებითად. ჟურნალისტი არ ცდილობდა დაესვა დამაზუსტებელი კითხვები.

მაგალითად, 8 სექტემბრის გადაცემაში ირაკლი ღარიბაშვილის სტუმრობისას, თავდაცვის მინისტრი მთელი გადაცემა ყოფილ ხელისუფლებაზე საუბრობდა, წამყვანი კი მხოლოდ რეპლიკებით შემოიფარგლებოდა და არ დაინტერესებულა უწყებაში ამჟამად არსებული პრობლემებითა და გამოწვევებით.

წამყვანის კითხვები მოკლებული იყო შინაარს, აზრს, კონტექსტს. მისი მიზანი იყო, უბრალოდ, ესიამოვნებინა რესპოდენტისა და პარტიისთვის. „როგორია თქვენი განწყობა“, „როგორ გრძნობთ თავს“, „როგორ ხასიათზე ხართ“... ასეთი იყო მისი ინტერვიუს საერთო სურათი ირაკლი კობახიძესთან, რომელიც 22 სექტემბრის გადაცემაში ვიხილეთ.

29 სექტემბერს გადაცემის ეთერში გასვლა დაემთხვა მარნეულის ინციდენტს, სადაც ორი მაუწყებლის წარმომადგენლები დაშავდნენ. წამყვანი მარნეულში მიმდინარე მოვლენების შესახებ მაყურებელს დროდადრო აწვდიდა ინფორმაციას, მაგრამ არა ადგილიდან ჩართვებით, არამედ, ეთერში ახმოვანებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიციას, უწყების განცხადებებში კი მხოლოდ ის იყო ნათქვამი, თუ რა მუხლით დაიწყო გამოძიება. გადაცემის ბოლოს აჩვენეს ვიდეო, რომელშიც ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ჰყვება, თუ რა მუხლით დაიწყეს სამართალდამცავმა სტრუქტურებმა გამოძიება. წამყვანმა წაიკითხა „ქართული ოცნების“ მიერ გავრცელებული განცხადებაც და არ უჩვენებია დაზარალებული მხარე. გადაცემა ისე დასრულდა, რომ მაყურებელისთვის გაუგებარი დარჩა, ვინ ვის დაესახა თავს, ვინ ვის სცემა, ვინაა მსხვერპლი, ვინ მოძალადე და, საერთოდ, რა მოხდა მარნეულში.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ გადაცემიდან მაყურებელი იღებდა მიკერძოებულ და დაუბალანსებელ ინფორმაციას.

ღია ეთერი

საანგარიშო პერიოდში „ღია ეთერში" მხოლოდ მმართველი პარტიის წარმომადგენლები იყვნენ წარმოდგენილი. სტუმრები თემის რელევანტურად იყვნენ შერჩეული, წამყვანები კი მეტ-ნაკლებად მომზადებული განსახილველი თემისთვის. თუმცა, ჟურნალისტები ვერ ახერხებდნენ მიუკერძოებელი პოზიციის დაცვას. გარდა ამისა, როგორც წესი არ სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს. პერიოდულად რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ისინი, ნაცვლად იმისა, რომ გაემართათ კრიტიკული დისკუსია ე.წ. HARD TALK, სტუმრებს უქმნიდნენ მაქსიმალურ შესაძლებლობას, რომ მოეხდინათ საკუთარი თავის საუკეთესო მხარეების დემონსტრირება.

მაგალითად, 16 სექტემბრის გადაცემაში, რომელსაც „ქართული ოცნების" წარმომადგენელი ბექა დავითულიანი სტუმრობდა, წამყვანმა ირაკლი ჩიხლაძემ თქვა: „ვისაუბრეთ კოვიდ-19-ზე, 196 ახალი შემთხვევა გვაქვს ქვეყანაში, მაგრამ, როგორც ჯანდაცვის მინისტრი გეუბნება, მთლად საპანიკო ჯერ არ არის. როგორც ჩანს, თანაცხოვრებას ჩვენ ამ ვირუსთან ვსწავლობთ, მაგრამ თქვენი და ხელისუფლების ოპონენტები მაინც პოლიტიზებას ახდენენ თემის".

გადაცემაში არ ისმოდა განსხვავებული პოზიციები. წამყვანებიც კი „ნაციონალური მოძრაობის" დისკრედიტაციასა და კრიტიკას ცდილობდნენ. ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს 7 სექტემბერს გადაცემის წამყვანი ირაკლი ჩიხლაძისა და ჟურნალისტ შორენა ხვიჩიას დიალოგი, რომელიც რუსეთის მხრიდან საქართველოს კრიტიკის თემას მოჰყვა გაგრძელებად. „რუსეთი ტრადიციულად, როგორც ყოველთვის, საქართველოს ადანაშაულებს და რაღაც შემთხვევაში რუსეთი და ჩვენი ოპოზიციის ნაწილი ძაან ჰგავს ერთმანეთს" - განაცხადა ირაკლი ჩიხლაძემ, რაზეც ხვიჩიამ უპასუხა: „სიტყვით დასავლურები და საქმით პრორუსულები, ეს ცნობილია". გადაცემაზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ წამყვანები სვამენ კითხვებს, რომელიც რესპონდენტებს საშუალებას აძლევს პოზიტიურ ჭრილში წარმოაჩინონ საკუთარი თავი და ხელისუფლება და მაქსიმალურად გააკრიტიკონ ოპონენტები.

ოპოზიციური პარტიების დისკრედიტაციისა და კრიტიკის მცდელობა იყო არჩევნების პირველი ტურის შემდგომ გადაცემებშიც, რომლის თემებიც ოპოზიციის ბოიკოტი და მაიკლ პომპეოს ვიზიტი იყო. წამყვანი ძირითადად მომზადებული იყო ფაქტებითა და არგუმენტებით რათა ხელისუფლების წევრებთან ერთად ემტკიცებინა რომ ოპოზიციის პროტესტი უსაფუძვლოა და მათი მოთხოვნები - შეუსრულებელი.

ტვ პირველი

საანგარიშო პერიოდში „ტვ პირველზე“ მონიტორინგდებოდა გადაცემები „საჯარო პოლიტიკა“ და „რეაქცია“. აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანია მმართველი პარტიის წარმომადგენლები უარს აცხადებდნენ “ტვ პირველის” გადაცემაში მონაწილეობაზე.

საჯარო პოლიტიკა

გადაცემის თემები მიმდინარე, აქტუალური თემები იყო, სტუმრები კი ძირითადად რელევანტურად იყვნენ შერჩეული. გადაცემებში არ იყო წარმოდგენილი მმართველი პარტია. წამყვანი აცხადებდა, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს ყველა გადაცემაში იწვევენ, თუმცა ისინი მათთან არ მიდიან. იშვიათი გამონაკლისების გარდა, სტუმრები აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას, ამიტომ ხშირად არ ისმოდა განსხვავებული აზრი.

წამყვანი მეტ-ნაკლებად მომზადებული იყო გადაცემისთვის, თუმცა რიგ შემთხვევებში, ის არ სვამდა მნიშვნელოვან კითხვებს. მაგალითად: 26 აგვისტოს გადაცემაში, რომელსაც სტუმრობდა „პატრიოთტა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი ირმა ინაშვილი, საუბარი პარტიის მიერ ჩატარებულ გამოკითხვას ეხებოდა. ინაშვილი ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ მათი გამოკითხვები არის სანდო და ასახელებდა გამოკითხულთა რაოდენობას (აქვე, მნიშვნელოვანია რომ საუბარია სატელეფონო გამოკითხვებზეც), წამყვანი არ დაინტერესებულდა, რამდენად კვალიფიციურად ტარდება ეს გამოკითხვები, როგორ მოიპოვეს წვდომა სატელეფონო ბაზებზე და ა.შ.

პირველი ტურის შემდეგ წამყვანის კითხვები ძირითადად პარტიების სამომავლო გეგმების გარშემო ტრიალებდა. მიუხედავად იმისა, რომ არ იკვეთებოდა წამყვანის მკვეთრი პოლიტიკური აფილაციები რომელიმე პარტიასთან, იყო შემთხვევები, როდესაც არჩევნების გაყალბების შესახებ საკუთარი შეფასებები ფაქტად წარმოჩინდა. მაგალითად, 4 ნოემბერს, წამყვანმა დასვა შეკითხვა: „რატომ მოხდა ეს ყველაფერი, ქართულმა ოცნებამ რატომ გააყალბა არჩევნები?“ 12 ნოემბერს კი, ასევე წამყვანმა შესავალ ტექსტში არჩევნებს „მოპარული არჩევნები“ უწოდა.

რეაქცია

სამონიტორინგო პერიოდში გადაცემისთვის შერჩეული თემები აქტუალური იყო, სტუმრები კი, ძირითადად - რელევანტური. „რეაქციაში“ არ გვხვდებოდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, რადგან პარტია ბოიკოტს უცხადებდა გადაცემას. ამ ფაქტს სხვადასხვა

სახის რეპლიკით ეხმაურებოდა წამყვანი. მაგალითად, 15 სექტემბერს მან აღნიშნა: „ტვ პირველთან“ ეთერში მოსვლა კი არა, ინტერვიუც კი აკრძალული გვაქვსო, ასე გვითხრა რომან კაკულიამ. ვის სჭირდებით, ბატონო, რომან? ან თქვენი ინტერვიუ ვის სჭიდება, ან თქვენი პასუხები რაში აინტერესებს ამ ადამიანებს?!“

წამყვანი, ძირითადად, მომზადებული იყო, ამჟღავნებდა პოლიტიკური კონტექსტისა და პარტიების წარსული საქმიანობის ცოდნას, რაც მას ეხმარებოდა, არ შეეყვანა მაყურებელი შეცდომაში. მაგალითად, პირველ ოქტომბერს, როდესაც გუბაზ სანიკიძემ უსაყვედურა „ქართულ ოცნების“ ლიდერებს იმის გამო, რომ ისინი რუსულ პოლიტიკას ატარებენ საქართველოში, წამყვანმა მას შეახსენა საკუთარი წარსული, როდესაც იგი ნინო ბურჯანაძის პარტიაში იყო, რომელსაც ასევე რუსულ ვექტორთან აიგივებენ.

წამყვანი ეძიებოდა და რამდენჯერმე უბრუნებდა კითხვას რესპოდენტებს, როდესაც ცდილობდნენ თავი აერიდებინათ კითხვაზე პასუხისთვის. ის ცდილობდა არ მიეცა ცრუ ინფორმაციების გავრცელების საშუალება სტუმრებისთვის. მაგალითად, 10 სექტემბრის გადაცემაში გიორგი გუგავამ განაცხადა, რომ ფეხმძიმე ალუჩაზე ლექსის შემდეგ არჩილ თალაკვაძემ ბიძინა ივანიშვილის სახოტბო ლექსი დაწერა. წამყვანმა გაუსწორა, რომ ასეთი ლექსი თალაკვაძეს არ დაუწერია და სთხოვა მოეყვანა მაგალითი.

ჟურნალისტი ზოგჯერ არ მალავდა მის პირად სიმპატიებს პოლიტიკოსების მიმართ. მაგალითად, 17 სექტემბრის გადაცემაში წამყვანმა განაცხადა, რომ ვაკის ამომრჩეველი რომ ყოფილიყო, ხმას ელენე ხოშტარიას მისცემდა.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა სექსისტური ფრაზის გამოყენების შემთხვევაც წამყვანის მხრიდან. მაგალითად, 27 აგვისტოს გადაცემაში, წამყვანმა პარტია “ლელოს” წარმომადგენელს მამუკა ხაზარაძეს ჰკითხა: „ხომ არ დაუწვა ლელო ბიძინა ივანიშვილს?”, როდესაც რესპოდენტმა იკითხა რას ნიშნავდა “დაუწვა”, წამყვანმა განმარტა, რომ გულისხმობდა გარიგებას. მომდევნო სტუმართან კი, გადაცემის წამყვანმა თავადვე აღნიშნა, უხერხულობის ასარიდებლად სჯობდა სიტყვა “გარიგება” გამოეყენებინა.

არჩევნების პირველი ტურის შემდეგაც თოქშოუ “რეაქცია” ასევე აქტუალურ საკითხებს ეხებოდა, კერძოდ გადაცემის თემები არჩევნების შემდგომ პერიოდს, მის შედეგებს, ოპოზიციის პროტესტს და ქუჩის აქციებსა და მაიკლ პომპეოს საქართველოში ვიზიტს უკავშირდებოდა.

წამყვანი ძალიან ხშირად და მტკიცებით ფორმაში ამბობდა, რომ არჩევნები გაყალბდა. მაგალითად 5 ნოემბრის გადაცემაში წამყვანი ამბობს: “არა ხალხო, მე წინა გადაცემაზეც ვთქვი, რაც მე აქ გადაჯღაბნილ გადმოჟღაბნილი ბიულეტენები ვნახე ამ არჩევნებზე, მსგავსი უბრალოდ არ მახსენდება. ესე პასტით ჩასწორებული.სხვადასხვა გაყალბებები მინახავს, ძალისმიერი მეთოდებით, დაშინებებით ადამიანების, წინა ხელისუფლების დროს, იმის წინა, ერთხელ საერთოდ, მე ბევრად დიდი ვარ, ვიდრე შეიძლება ბევრი ჩემი კოლეგა და

მახსოვს შევარდნაძეს იმდენი დაუწერეს, რომ 101% გამოუვიდა, ანუ ყველა ყველანაირი გაყალბება მინახავს, სააკაშვილის დროსაც, მარა აი ეს ბიულეტენების გადაკეთება, აი ესე პასტით მართლა რაღაც სიახლეა."

წამყვანი იყო მიკერძოებული, იყო მომენტები, როცა მხარეს წარმოადგენდა და არ იცავდა ნეიტრალურობას, მკვეთრად გამოხატავდა, რომ ეს ხელისუფლება შესაცვლელია და ზოგჯერ მთლიანი მონოლოგი სწორედ ხელისუფლების შეფასებას წარმოადგენდა.

პოლიტიკური პარასკევი

გადაცემის თემები აქტუალური იყო და სტუმრებიც ძირითადად რელევანტურები იყვნენ განსახილველ საკითხთან მიმართებით. ბოიკოტიდან გამომდინარე, ამ გადაცემაშიც არ მონაწილეობდნენ მმართველი პარტიის წარმომადგენლები.

გადაცემაში არ ყოფილა არასწორი ინფორმაციის თუ დისკრიმინაციის გავრცელების მცდელობა. არ ყოფილა გამოყენებული სიძულვილის ენა. ტოქშოუ იყო მშვიდი, არ ყოფილა ქაოტური და მაყურებელს შეეძლო აზრის გამოტანა და ახალი ინფორმაციის მიღება.

წამყვანის დასმული შეკითხვები უფრო მეტად ინფორმაციული იყო, ვიდრე კრიტიკული. ჟურნალისტებიც და ოპოზიციაც ერთ აზრზე იყვნენ. აღნიშნული განსაკუთრებით ჩანდა პირველი ტურის შემდგომ გადაცემებში, სადაც წამყვანების მხრიდან მტკიცებით ფორმაში ჟღერდებოდა, რომ არჩევნები გაყალბებულია. მაგალითად, 6 ნოემბრის გადაცემაში წამყვანი აცხადებდა: "არჩევნები გაყალბდა ამტკიცებს ოპოზიცია, ამტკიცებს გადაწერილი ოქმებიც, ჩაყრილი თუ გადაყრილი ბიულეტენები, ე,წ. კარუსელების მოსყიდვის თუ გადამალული ურნების ვიდეომტკიცებულებები, ამტკიცებს და ირწმუნება მრავლის მნახველი ოპოზიცია, რიმელიც ასეთი რამ ყველაზე ცუდად ჩატარებული არჩევნების დროსაც არ ახსოვთ. არჩევნების დროს დაშვებული მცირედი უზუსტობები, რაც ადამიანური შეცდომებია, ვერ იქონიებს გავლენას შედეგებზე, ეს უკვე ხელისუიფლების პოზიციაა, უფრო მეტიც, ხელისუფკებამ და კერძოდ კი, ბოლო დროს განსაკუთრებით გამაოგნებელი განცხადებებით გამორჩეულმა მათმა სპიკერმა ირაკლი კობახიძემ, გაყალბები ოპოზიციას დააბრალა, რითიც შეიძლება ითქვას, რომ გაყლბებული არჩევნები აღიარა. მეტსაც გეტყვით ოპოზიციას ასევე ბრალად ედება ლარის გაუფასურება, პანდემიის მზარდი სტატისტიკა და თქვენ წარმოიდგინეთ ზუგდიდელი ყაჩაღის გაქცევაც კი.აღარაფერს ვამბობ უკვე ამ ხლისუფლების ტრადიციად ქცეულ ყველაზე საყვარელ და პოპულარულ ბრალდებაზე, სახელწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობა.".

წამყვანი ზოგჯერ ირონიასაც გამოხატავდა. ოპოზიციას და მთავრობას შორის შეთანხმების ერთ ერთ-ერთ ვერსიად გადაცემის მსვლელობისას, წამყვანი ირონიულად სთავაზობდა შემდეგ გამოსავალს: „ციფრი დავწიოთ მაგალითად", „ციფრების მიწერაც მაგათი ნოუჰაუა?"

მთავარი არხი

„მთავარ არხზე“ საანგარიშო პერიოდში მონიტორინგდებოდა გადაცემები - „მთავარი აქცენტები“ და „ღამის მთავარი“. ორივე გადაცემაში სტუმრად მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენლები იყვნენ წარმოდგენილი.

მთავარი აქცენტები

გადაცემა ცდილობდა მოწვეულ სტუმრებთან ერთად გაეანალიზებინა დღის ან კვირის აქტუალური თემა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში პოლიტიკური იყო. გადაცემა წამყვანის მონოლოგით იწყებოდა, სადაც პერსონალურ შეფასებებთან ერთად ისმოდა მიმართვები სხვადასხვა პოლიტიკური აქტორებისადმი, რასაც საავტორო გადაცემის ფორმატი ითვალისწინებს კიდეც. თუმცა მიუხედავად საავტორო გადაცემის ფორმატისა მნიშვნელოვანია არ დაირღვეს მიუკერძოებლობა.

„მთავარ აქცენტებში“ კი ეს პრინციპი უგულვებელყოფილია თითქმის ყველა გამოშვებაში, რადგან ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ხშირად შეიცავს დაუსაბუთებელ ბრალდებებს, შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, ოპოზიციისადმი მიკერძოებას.

წამყვანი იყენებს ისეთ ეპითეტებს, როგორიცაა „მონა“, „უზურპატორი“, „მოძალადე“, „ხარბი“, „ნაძირლების თავშესაყარი, ბიძინა ივანიშვილის მონა ყმა“ „თვალთხარია“ „დიქტატორი“, „გველეშაპი“, „სახეახეული კაცი“.

27 სექტემბრის გადაცემას წინ უძღვოდა, წამყვანის ვრცელი მონოლოგი, რომელშიც იგი იყენებდა უხამს ლექსიკას რუსეთისადმი და არამხოლოდ. გადაცემაში მოვისმინეთ:

„საქართველო არ არის პატარა სოფელი, ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ და ეს ნიშნავს, რომ შენს დედას ... რუსეთო. ამ დღეებში, საქართველო რომ პატარა სოფელია, ისევ შეგვახსენეს და ეს გააკეთა პრემიერმა, რომელიც ეჭვი ხომ არ გეპარებათ, რომ ასევე რუსეთია და შენი ... რუსეთო. შეგვახსენა, რომ საქართველო პატარა სოფელია და გვითხრა, რომ პატარა სოფლის პარადიგმაზე უნდა ავეწყოთ ყველანი, იმიტომ, რომ ეს არის ჩვენთვის გამოსავალი და ეს არის ჩვენი წინსვლის ერთადერთი რეცეპტი და ამას ბიძინა ივანიშვილის მეტი ვერავინ ვერ იზამს, თვითონ სირია, რომელიც ამას მხოლოდ ახმოვანებს.“

20 სექტემბერს გადაცემაში კი წამყვანმა ხელისუფლების შეფასებისას გამოიყენა ტერმინები: „უკლასოები“, „სველდებით“?

წამყვანი ცალსახად აფიქსირებდა საკუთარ პოზიციას და დამოკიდებულებას ხელისუფლების მიმართ. 27 სექტემბერს, გადაცემაში ოპოზიციური პარტიის ლიდერები

იყვნენ მიწვეული. საუბრის თემა იყო ზოგადი მიმოხილვა საარჩევნო პროცესისა და ოპოზიციური პარტიების სტრატეგია ხელისუფლების დამარცხებისთვის. ყველა ლიდერი თანხმდებოდა, რომ მათი მთავარი მიზანი „ქართული ოცნების“ დამარცხებაა და არჩევნების შემდეგ ოპოზიციას თანამშრომლობის პრობლემა არ აქვს. ეს იყო ხანგრძლივი ბლოკის საუბრის მთავარი მიზანი და წამყვანი ყველა სტუმრიგან ითხოვდა თანმიმდევრობით ეპასუხა მის დასმულ შეკითხვებზე. გადაცემის დასასრულს ნიკა გვარამიამ, სტუმრებს სთხოვა ხელის მოწერით დაედასტურებინათ, რომ არჩევნების შემდეგ „ქართულ ოცნებასთან“ და ბიძინა ივანიშვილთან კოალიციას არ შექმნიდნენ.

მმართველი პარტიისაგან განსხვავებით „მთავარი აქცენტები“ დადებითად არის განწყობილი ოპოზიციისადმი, განსაკუთრებით „ნაციონალური მოძრაობისადმი“, რომლის ლიდერს მიხეილ სააკაშვილს „თანასწორთა შორის პირველს“ უწოდებს. ამ პარტიის წარმომადგენლები ხშირად სტუმრობენ გადაცემას სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად.

8 ნოემბრის გადაცემაში გვარამიამ აღნიშნა, რომ ის „ამაყოფს ოპოზიციით“, და ოპოზიციის საქმიანობას (აქციის დაშლის გადაწყვეტილებას) აფასებს უმაღლესი ქულით. ოპოზიციისადმი მიკერძოება დაფიქსირდა სხვა გადაცემებშიც. მაგალითად, 7 ნოემბერს „მთვარ აქცენტებში“ გაკეთდა განცხადება, რომელშიც წამყვანმა „მთავარ არხს“ უწოდა „ოპოზიციური ხმა და მთავარი კრიტიკული ტელევიზია“ ასევე, მისსავე განცხადებაში წამყვანმა ხაზი გაუსვა, რომ ის და მისი არხი ეწინააღმდეგებიან ერთპარტიულ მმართველობას და იცავენ ყველა იმ ხმას, რომელიც ოპოზიციურმა პარტიებმა მიიღეს.

ამგვარი განცხადებებისა და გამონათქვამების გამო, იქმნება შთაბეჭდილება, რომ „მთავარი აქცენტები“ ოპოზიციის დამხმარე, საინფორმაციო პლატფორმაა.

ღამის მთავარი

სამონიტორინგო პერიოდში გადაცემა „ღამის მთავარი გამოირჩეოდა კრიტიკული დამოკიდებულებით ხელისუფლებისადმი, რასაც ვერ ვიტყვით ოპოზიციაზე, თუმცა, რიგ შემთხვევებში, იგრძნობოდა მიკერძოება წამყვანის მხრიდან რომელიმე ოპოზიციური პარტიისადმი.

წამყვანი, როგორც წესი, მეტ-ნაკლებად მომზადებული და თემებში გარკვეული იყო, ჰქონდა მიმდინარე საკითხების შესახებ ინფორმაცია.

ვინაიდან ამ გადაცემაში მხოლოდ ოპოზიციური პარტიების ლიდერები იყვნენ წარმოდგენილი, მთელი გადაცემა დიალოგის სახეს იღებდა, სადაც წამყვანი და სტუმრები ერთ აზრზე იყვნენ. ჟურნალისტი იშვიათად ერთვებოდა მათთან პოლემიკაში, განსაკუთ-რებით ეს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს ეხებოდათ, რომელთა შეხედულებებთანაც

წამყვანი სრულ თანხვედრაში იყო, შესაბამისად, კრიტიკულ კითხვები არ ისმოდა. გამონაკლისი იყო ის ოპოზიციური პარტიები, რომლებიც ზოგჯერ „ნაციონალურ მოძრაობას“ აკრიტიკებენ.

მაგალითად, 8 სექტემბრის გადაცემაში წამყვანი სრულ თანხვედრაში იყო „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ ხატია დეკანოიძესთან. შემდეგი სტუმარი იყო დავით ბაქრაძე, სადაც ჟურნალისტი უფრო კრიტიკული და მწვავე იყო. იგი დავით ბაქარაძეს იმ საკითხებზე ესაუბრა, რაზეც „ნაციონალური მოძრაობა“ ყოფილ თანაგუნდელებს აკრიტიკებს. ჟურნალისტის ტონი კიდევ უფრო გამწვავდა მესამე სტუმართან - გიორგი ვაშაძესთან, ვინაიდან, „ნაციონალური მოძრაობის“ ტონი ასევე უფრო მწვავე იყო ამ პოლიტიკოსის წინააღმდეგ. აქ უკვე ისმის ისეთი რეპლიკები ორივე მხრიდან, როგორებიცაა - „ელდა გეცათ?“ „თქვენ ტყუილს ამბობთ“, „ეს არასერიოზულია“, „ახლა ეს უნდა დაგიჯეროთ“? „ცოტა სერიოზულად ვისაუბროთ“ და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ წამყვანი არჩევნების პირველი ტურის შემდეგაც ღიად გამოხატავდა უარყოფით დამოკიდებულებას პოზიციას მმართველი გუნდის და კერძოდ ბიძინა ივანიშვილის მიმართ, თუმცა წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, შეფასებებში იმდენად ხშირად აღარ გვხდებოდა შეურაცხმყოფელი და არანორმატიული ლექსიკა, თუმცა გარკვეული დოზით მაინც იყო.

მაგალითად, 4 ნოემბერს გადაცემა ეკა კვესიტაძის ნაცვლად, თეა ადეიშვილმა წაიყვანა. წამყვანი „მძარცველად“ მოიხსენიებს მმართველ გუნდსა და ბიძინა ივანიშვილს, არჩევნების გაყალბებას კი დადასტურებულ ფაქტად წარმოაჩენს და არა შეფასებად.

ამავე გადაცემაში წამყვანი შესავლის შემდეგ, ნაციონალური მოძრაობის მჟორიტარობის კანდიდატი ნანუკა ჟორჟოლიანი კორესპონდენტის სახით ერთვება ეთერში წყალტუბოდან. ცხადია, რომ აღნიშნული მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დარღვევა, კორესპონდენტი, რომელიც თან მაჟორიტარობის კანდიდატია, ვერ იქნება მიუკერძოებელი პროცესების გაშუქებისას.

ფორმულა

„ფორმულაზე“ მონიტორინგდებოდა გადაცემები: „პოლიტმეტრი“, „გიორგი თარგამაძის ფორმულა“, „პოლიტიკის ფორმულა სოფო ზურაბიანთან ერთად“ და „საქართველო ირჩევს.” ჟურნალისტების განმარტებით, მმართველი პარტიის წარმომადგენლები უარს აცხადებდნენ გადაცემაში მონაწილეობაზე.

პოლიტმეტრი

გადაცემის თემები იყო აქტუალური, მოწვეული სტუმრებიც, ძირითადად, კარგად იყვნენ შერჩეული და წარმოდგენილი იყო განსხვავებული მოსაზრებები. ამ მოსაზრებებს აკლდა ხელისუფლების პოზიცია, რომლებიც, ჟურნალისტების განმარტებით, უარს აცხადებდა გადაცემაში მონაწილეობაზე.

ტოქშოუ კარგად დაგეგმილი იყო. ჟურნალისტები იყვნენ მიუკერძოებელნი და ძირითადად, მომზადებულნი გადაცემისთვის, შეეძლოთ თემის გაშლა. წამყვანი რესპონდენტებს ხშირად სთხოვდა ფაქტებზე დაყრდნობით ესაუბრათ. ისმოდა ვრცელი, თუმცა მარტივად აღსაქმელი კითხვები.

მონიტორინგისას გამოიკვეთა, რომ მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში იყო სტუმრებისთვის დასმული კითხვები ნაკლებად კრიტიკული. მაგალითად, 28 აგვისტოს გადაცემაში წამყვანი არ იყო კრიტიკული გუბაზ სანიკიძის მიმართ, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა იგი მიხეილ სააკაშვილს ხოტბას ასხამდა. წამყვანს შეეძლო სანიკიძისთვის შეეხსენებინა სააკაშვილის მიმართ გამოთქმული კრიტიკა და ეკითხა, თუ რა შეცვლა მის ახლანდელ და წინა დამოკიდებულებას შორის. ასევე, პირველი სექტემბრის გადაცემაში, როდესაც „ლელოს“ წარმომადგენელი საუბრობდა, რომ მათი პარტია აღმოფხვრის სიღარიბეს და შექმნის საშუალო ფენას, წამყვანი არ დაინტერესებულა იმით, თუ როგორ მოახერხებს ამას პარტია, რა მექანიზმები და სტრატეგია აქვს „ლელოს“ ამ მიზნების მისაღწევად.

30 ოქტომბერს იყო ერთგვარი დასკვნითი გადაცემა, რომელშიც თითქმის ყველა წამყვანი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. რა თქმა უნდა ამ შემთხვევაშიც გადაცემას აკლდა ხელისუფლების პოზიცია, რაც ისევ მმართველი პარტიის გადაწყვეტილებით - არ მისულიყო ტელეკომპანიაში იყო განპირობებული.

„პოლიტმეტრი” გამოირჩევოდა კორექტულობით, არ გვხვდებოდა სიძულვილის ენა და დისკრიმინაციის შემცველი განცხადებები. წამყვანების კითხვები მიზნად ისახავდა რაც შეიძლება ამომწურავი ინფორმაცია მიეღო საზოგადოებას.

გიორგი თარგამაძის ფორმულა

გადაცემისთვის შერჩეული თემები იყო აქტუალური და მნიშვნელოვანი, ასევე, კრიტიკული ხელისუფლებისადმი. ჟურნალისტი მომზადებული იყო გადაცემისთვის, სვამდა საჭირო კითხვებს, საჭირო დროს, სწორი ფორმულირებით. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც წამყვანის კითხვები იყო ვრცელი და რამდენიმე საკითხის მომცველი, რაც რეპოდენტს შესაძლებლობას აძლევდა, რომ თავი აერიდებინა მისთვის არასასურველ კითხვაზე პასუხისთვის.

მაგალითად, 2 სექტემბრის გადაცემაში წამყვანმა დასვა შემდეგი კითხვა: „ზუსტად ეს შეკითხვა მინდა დაგისვათ, სანამ თქვენ დაგემშვიდობებით. ერთია, თქვენ თავად როგორ იქცევით, იგივე საარჩევნო კამპანიის სპეციფიურობიდან გამომდინარეობა ძალიან მაცდუნებელია იმ კუთხით, რომ უფრო მეტი სიახლოვე შეინარჩუნოთ ხო ამომრჩეველთან. მაგალითად, არჩევნები ჩვენ დეპუტატობის კანდიდატის ხელის ჩამორთმევის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია. არადა დადგა ის დრო, როდესაც თავი უნდა შევიკავოთ ამისგან, თუმცა, ფაქტია, რომ ჩვენ პირდაპირ ეთერში გადაცემით, როგორც სამთავრობო კანდიდატების, ასევე ოპოზიციური კანდიდატების შეხვედრებს მოსახლეობასთან და ძველებური, კორონამდელი ყაიდა გხვდება თვალში, ხო? ამ მხრივ, ალბათ, პოლიტიკოსებმა რაღაც მაგალითი უნდა აჩვენონ. მაგრამ სისტემურად რა შენიშვნები გექნებოდათ? მე ახლა ვკითხე ბატონ ამირანს, მაგალითად, ინფრასტრუქტურა როგორ შეიცვალა ამ თვალსაზრისით. სკოლები თუნდაც ჰოსპიტლები, ექიმების გადამზადების პროცესი რამდენად აქტიურად მიმდინარეობდა. იმიტომ, რომ ექიმები ერთ-ერთ ყველაზე ძირითად გადამტანებად, ასე ვთქვათ, მიიჩნევიან მთელს მსოფლიოში. ამ მხრივ როგორი არის თქვენი მონაცემებით სურათი? და რას ურჩევდით მთავრობას და რას მოუწოდებდით?“

დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც წამყვანმა რესპონდენტს არაზუსტი ინფორმაციის გავრცელების საშუალება მისცა. 14 ოქტომბრის გადაცემაში გუბაზ სანიკიზემ განაცხადა - „არ გაძღა ამ კაცის მუცელი, ძარცვავს ქვეყანას, დაკუჭულ ათლარიანებს აგროვებს უკვე ქვეყანაში. გაიხსენეთ პანდემიის დროს რა ქნა - ყველა პროდუქტის მაღაზია ჩაკეტეს და ამუშავა თავის მაღაზიები“. იმის გათვალისწინებით, რომ „ქართული ოცნება“ არ მონაწილეობდა გადაცემებში, ჟურნალისტს უნდა მიეთითებინა რესპოდენტისთვის გადაუმოწმებელი ფაქტის გავრცელების შესახებ.

არჩევნების პირველი ტურის შემდგომ პერიოდში გასული სამივე გადაცემა ეხებოდა ჩატარებულ არჩევნებს. ამ შემთხვევაშიც, როგორც არხის სხვა გადაცემებში არ მონაწილეობდნენ ქართული ოცნების წარმომადგენლები, თუმცა წამყვანი განმარტებას რომ ეს იყო თავად ქართული ოცნების გადაწყვეტილება განმარტებას არ აკეთებდა.

19 ნოემბრის გადაცემაში დაფიქსირდა წამყვანის მიერ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების არაზუსტი ციტირების ფაქტი: „სამივე პოლიტიკური ძალა [ევროპული საქართველო; ლელო; სტრატეგია აღმაშენებელი] წარმოადგენთ იმ ფლანგს ქართული დემოკრატიული ოპოზიციისა, რომელსაც ჩვენ პროდასავლურ ოპოზიციას ვუწოდებთ. ამ დროს, სწორედ დასავლეთი და მეტიც, დასავლეთის ყველაზე ძლიერი ცენტრი, ვაშინგტონი გვეუბნება, რომ ბიჭებო, გვესმის თქვენი წუხილის, აგერ, დეტალურად ვიცი, როგორ გაგიყალბეს ეს არჩევნები და ძალიან არ მსიამოვნებს, მაგრამ ავტორიტარულობა რომ არ დავარქვა უკვე სახელად, იმიტომ, რომ ამას სხვა შედეგები მოჰყვება, შედით და შიგნიდან მოგეხმარებით“.

სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში სიტყვა გაყალბება საერთოდ არ ფიგურირებს.

სამივე გადაცემაში დასმული კითხვებით წამყვანი ოპოზიციის მიმართ მიკერძოებას ავლენდა.

პოლიტიკის ფორმულა სოფო ზურაბიანთან ერთად

საანგარიშო პერიოდში გადაცემის თემები აქტუალური იყო და სტუმრებიც თემის შესაბამისად იყვნენ შერჩეული. ჟურნალისტი სამართლიანი იყო დროის განაწილების თვასაზრისით, იცავდა ბალანსს რესპოდენტებს შორის და არ ამჟღავნებდა მიკერძოებულ დამოკიდებულებას. თუმცა, 7 სექტემბრის გადაცემაში გამოიკვეთა, რომ წამყვანი, სხვა რესპოდენტებისგან განსხვავებით, ლოიალური იყო „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლისადმი და სხვა სტუმრებისგან განსხვავებით, მას ნაკლებად უწევდა ოპონირებას.

გადაცემაში არ მონაწილეობდნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, რაც წამყვანის თქმით, განპირობებული იყო მათივე გადაწყვეტილებით.

წამყვანს კარგად ესმოდა პოლიტიკური პროცესი და სვამდა არგუმენტირებულ და მნიშვნელოვან კითხვებს.

მას შემდეგ, რაც 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საპროტესტო აქციები დაიწყო, სოფო ზურაბიანის გადაცემამ ფორმატი დაკარგა. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მას მიჰყავს არა კონკრეტული გადაცემა, არამედ „ეთერი“.

ასევე რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ გადაცემის დასაწყისში თავად ჟურნალისტმა და მისმა პროდიუსერებმა არ იციან რამდენი სტუმარი ეყოლებათ, კონკრეტულად რაზე ისაუბრებენ, ეს გადაცემის მსვლელობის პარალელურად სპონტანურად იგეგმება და ხორციელდება.

ამგვარი ვითარების გამო ჟურნალისტი ვერ ახერხებდა პოლიტიკოსებთან ჩაღრმავებული ინტერვიუების ჩატარებას და იგი მხოლოდ ზედაპირული კითხვებით შემოიფარგლებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ტოქშოუსაკუთარ ფორმატს გასცდა შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადაცემა ინფორმატიული იყო მოქალაქეებისთვის.

საქართველო ირჩევს

გადაცემის ფორმატი საინტერესო და განსხვავებული იყო. პოლიტიკური პარტიები აკეთებდნენ პროგრამის რეზენტაციას, შემდეგ კი იმართებოდა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა მედიის წარმომადგენლები.

გადაცემის წამყვანი საჭიროებისამებრ სხვამდა კითხვებს, რომელიც საარჩევნო პროგრამასთან ერთად მიმდინარე მოვლენებსაც ეხებოდა. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ჟურნალისტის კითხვას პარტიის წარმომადგენელი სათანადოდ არ პასუხობდა, წამყვანი კიდევ ერთხელ აძლევდა საშუალებას სტუდიაში მყოფ ჟურნალისტებს დაესვათ დამატებითი კითხვები.

ჟურნალისტების კითხვებიც საინტერესო, აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო. ძირითადად, წამყვანიც და ჟურნალისტებიც მომზადებული იყვნენ გადაცემისთვის. გამართული დისკუსიებიც დინამიური და საინტერესო იყო. წამყვანი ართმევდა თავს შეესრულებინა მედიატორი როლი ჟურნალისტებსა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შორის. გამონაკლისი იყო „პატრიოტთა ალიანსის" წარმომადგენელთა მონაწილეობით გადაცემა, სადაც მიუხედავად დასმული კითხვებისა პარტიის წარმომადგენლები საუბრობდნენ მათთვის სასურველ საკითხებზე.

საერთო ჯამში, ტოქშოუ მაყურებელს საშუალებას აძლევდა საკმაოდ ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და მათი კანდიდატების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ არც აღნიშნულ გადაცემაში მიუღია მონაწილეობა ქართულ ოცნებას.

პალიტრა TV

„პალიტრა TV-ზე" მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას „360 გრადუსი", რომელიც, ძირითადად, დღის აქტუალურ საკითხებზე მსჯელობას ეთმობოდა. გადაცემა 2 სექტემბრიდან, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით გადიოდა ეთერში, თუმცა არჩევნების პირველი ტურის შემდგომ იყო 4 სპეციალური გამოშვება.

360 გრადუსი

გადაცემა „360 გრადუსი" რამდენიმე ბლოკისგან შედგება და მისი ერთი ბლოკი ხშირად ეთმობოდა დებატებს, სადაც უმეტესად მონაწილეობდა ოპოზიცია.

დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ მმართველი გუნდის წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ დებატებში და ისინი, ძირითადად, წარმოდგენილი იყვნენ მარტო, ოპონენტების გარეშე, გადაცემის ბოლო ნაწილში. წამყვანი ცდილობდა, მეტნაკლებად კრიტიკული კითხვები დაესვა ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, თუმცა, არ ყოფილა საკმარისად კრიტიკული მათი მისამართით.

ოპოზიციური პარტიების დებატებისას, რიგ შემთხვევებში წამყვანი განმარტავდა, რატომ არ მონაწილეობდა „ქართული ოცნება“ დებატებში და მოუწოდებდა მათ მონაწილეობისკენ. ასევე, ერთ-ერთ გადაცემაში წამყვანმა განმარტა, რომ „ნაციონალური მოძრაობაც“ არ მიიღებდა მონაწილეობას დებატებში, თუ მმართველი პარტია არ იქნებოდა წარმოდგენილი.

ის ტენდენცია, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენლები წარმოდგენილები იყვნენ გადაცემის ბოლო ნაწილში გაგრძელდა არჩევნების პირველი ტურის შემდგომაც. აღნიშნული მმართველი პარტიის წარმომადგენლებს შესაძლებლობას აძლევდა შეეფასებინათ იმ ოპოზიციური პარტიის წარმომადგნლების მოსაზრებები, ვინც მანამდე იყო ეთერში. აღნიშნული კი გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა მათ. მაგალითად, 2 ნოემბრის გადაცემაში მმართველი პარტიის წარმომადგენელმა მის წინ გასული რესპოდენტების განცხადებები გააკრიტიკა და მიმართვაც კი გააკეთა მაგრამ ცხადია პასუხს ვეღარ გასცემდნენ მისი ოპონენტები. „მე ვუსმინე თქვენს წინა გამომსვლელებს. აი ქალბატონი ბურჯანაძე „მოთქვამდა“ ქართულმა ოცნებამ და ბიძინა ივანიშვილმა გამიყალბა ხმებიო. ქალბატონ ნინოს მივმართავ, თქვენმა საქციელმა 26 მაისის შემდეგ, როდესაც თქვენი თანაგუნდელები, ალალი ქართველები გედგნენ გვერდით თქვენ სახლში კი წახვედით მშვიდობით მაგრამ ისინი იქ დალეწეს... ამის შემდეგ თქვენ შალიკიას ოფისში ნაციონალური მოძრაობასთან ერთად დემოკრატიულ ღირებულებებზე საუბრობდით. ბუნებრივია, ის თქვენი ორი თუ სამ პროცენტიანი ამომრჩეველიც დარჩა სახლში“ ჟურნალისტს ამ რეპლიკაზე პასუხი არ გაუცია და არ გაუცია არც სხვა რეპლიკებზე რომელიც გაჟღერდა დანარჩენი სტუმრების მიმართაც.

გადაცემის თემები იყო აქტუალური და საინტერესო, წამყვანი, ძირითადად, მომზადებული იყო და რამოდენიმე გამონაკლისი შემთხვევის გარდა, არ მიუცია სტუმრისთვის არასწორი ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობა.

გადაცემაში არ ყოფილა გამოყენებული სიძულვილის ენა, თუმცა, დაფიქსირდა შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენება. მაგალითად, 25 სექტემბერსგადაცემის სტუმარმა ალეკო ელისაშვილმა შეურაცხმყოფელი ლექსიკა გამოიყენა პოლიტიკური ოპონენტის მისამართით, კონკრეტულად კი, წონის გამო დასცინა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატებს და თქვა - „ღაბაბი აქვს მუცლამდე ჩამოწოლილი“. სტუმრის ამ პოზიციას წამყვანმა შემდეგი რეპლიკით უპასუხა: „ფიზიკური პარამეტრებით არ შეიძლება პოლიტიკოსების შეფასება, ოპოზიციაშიც ბევრი მინახავს...“ რომ არა ფრაზის ბოლო ნაწილი („ოპოზიციაშიც

ბევრი მინახავს“), სადაც წამყვანმა თავადაც გაუსვა ხაზი პოლიტიკოსების ფიზიკურ აღნაგობას, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მას ჰქონდა მაღალი მგრძნობელობა ჭარბწონიანი ადამიანებისადმი და ეცადა არ მოეხდინა გადაცემაში მათი დისკრიმინაცია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგდებოდა გადაცემა „თავისუფალი სივრცე“, სადაც მონაწილეობდნენ როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. ასევე დამონიტორინგდა „არჩევნები 2020”. არჩევნების პირველი ტურის შემდეგ არხმა დაამატა ორი ტოქშოუ - „მთავარი აჭარაში” და „სათქმელი”, რომელიც ასევე დაკვირვების ქვეშ მოექცა.

თავისუფალი სივრცე

სამონიტორინგო პერიოდში გადაცემაში განხილული იყო აქტუალური საკითხები. წამყვანი გადაცემისთვის მომზადებული იყო, რელევანტურ კითხვებს კი სვამდა, თუმცა, შემდგომ, როდესაც სტუმრები გაურბოდნენ პირდაპირ პასუხებს, აღარ ცდილობდა ჩაძიებოდა და მიეღო კონკრეტული პასუხი. რაც ინტერვიუებს ზედაპირულს ხდიდა.

წამყვანი ტექნიკურად თანაბრად ანაწილებდა დროს, საკითხის რელევანტურად იყვნენ რესპოდენტები შერჩეული, იცავდა ბალანსს. თუმცა, 24 სექტემბრის გადაცემაში, რომლსაც პარტია „გამარჯვებული საქართველოს” თავმჯდომარე ირაკლი ოქრუაშვილი სტუმრობდა, სხვა გადაცემებისგან განსხვავებით, წამყვანი მკვეთრად ნეგატიურად იყო განწყობილი რესპოდენტის მიმართ. ამის მიზეზი მან გადაცემაშივე გაამჟღავნა და თქვა, რომ ის იყო „იბერიის“ თანამშრომელი, სადაც 2004 წელს, ოქრუაშვილის შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდში, სპეცდანიშნულების რაზმი შეიჭრა. საბოლოოდ, სტუმარმა გადაცემა დატოვა.

განსხვავებით სხვა გადაცემებისგან, სადაც მეტწილად პოლიტიკოსები მონაცვლეობით ერთვებოდნენ გადაცემაში, 5 ოქტომბერს გადაცემას ერთდროულად სტუმრობდნენ განსხვავებული პოლიტიკური პარტიების წარმოადგენლები: მურმან დუმბაძე, პოლიტიკური გაერთიანება “ძალა ერთობაშია” და ეკა ბესელია, “პარტია სამართლიანობისათვის”. გადაცემის დასაწყისში წამყვანმა აჩვენა ვიდეო, რომელშიც ასახული იყო

მურმან დუმბაძის მიმართვა ამომრჩევლისადმი, რომ მათ არ მისცენ ხმა ეკა ბესელიას, რადგან თითოეული ასეთი ხმა დაკარგულია. ამ დასაწყისმა მთელი დებატები ეკა ბესელიასა და მურმან დუმბაძის პიროვნულ დაპირისპირებაში გადაზარდა და მაყურებელმა ვერ მიიღო საჭირო ინფორმაცია, რომელიც მას ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარებოდა.

თავისუფალი სივრცე არჩევნების პირველი ტურის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს უთმობდა ეთერს, თუმცა გადაცემები ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ წამყვანის მთავარი აქცენტი ემთხვეოდა „ქართული ოცნების" გზავნილებს. მაგალითად 2 ნოემბრის გადაცემის ანონსში და შემდეგაც წამყვანის მთავარი ქცენტი იყო არა ის ფაქტები, რის გამოც ოპოზიცია ქუჩაში გამოვიდა, არამედ ის, თუ რა შემთხვევაში შედგება შეთანხმება ხელისუფლებას და ოპოზიციას შორის. წამყვანის მთავარი აქცენტი ემთხვეოდა „ქართული ოცნების" გზავნილებს იმაზე, რომ ოპოზიცია საბოლოო შედეგების შეჯამებამდე გამოვიდა ქუჩაში.

არჩევნები 2020

„არჩევნები 2020" 29 სექტემბრიდან ყოველ სამშაბათს, ხუთშაბთსა და პარასკევს გადიოდა ეთერში. გადაცემას ჰყავდა ორი წამყვანი, რომლებიც ეთერს მონაცვლეობით უძღვებიან - სამშაბათს და პარასკევს ერთი წამყვანი მასპინძლობს პოლიტიკურ პარტიებს, ხუთშაბათს კი მეორე - აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს.

ორივე წამყვანის შემთხვევაში, მაყურებელს რჩება შთაბეჭდილება, რომ კითხვები მეტად არის ორიენტირებული პროგრამებსა და დაპირებებზე და აღარ რჩება დრო კრიტიკისა და ჩაძიებისთვის.

წამყვანები ამჟღავნებენ მაღალ მგრძნობელობას ისეთი საკითხებისადმი, როგორიცაა გენდერული თემატიკა, სიძულვილის ენის გამოყენება.

მაგალითად, 6 ოქტომბერს, „ქართული მარშის" წევრებს, რომლებიც სოროსის ფონდს ლგბტ თემის პროპაგანდაში ადანაშაულებდნენ და ჰომოფობიურ განცხადებას აკეთებდნენ, წამყვანი გაემიჯნა და აღნიშნა, რომ მათი განცხადებები დისკრიმინაციული იყო. წამყვანი ასევე გაემიჯნა „ქართული დასის" ჰომოფობიურ განცხადებას - „ცხოვრების უფლება ყველას აქვს, მაგრამ გარყვნილების პროპრაგანდის უფლება არავის აქვს. თავიანთ სახლებში, თავინათ სამეგობროებში ნება აქვთ ყველაფრის, რაც უნდათ ის გააკეთონ, მაგრამ არ აქვთ უფლება, რომ გაწიონ პროპაგანდა".

15 ოქტომბრის გადაცემაში წამყვანმა გენდერული საკითხიც წამოწია წინ და კანდიდატებს ჰკითხა, როგორ აპირებდნენ გენდერული საბჭოს გააქტიურებას. თენგიზ რუხაძემ, „ბაგრატიონი - სახე+-ის" წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ „ქალის

პირველი საზრუნავი ოჯახი და შვილებია, თუმცა აუცილებლია თანაბრად ქმნიდეს დოვლათს“. წამყვანი გაემიჯნა რესპოდენტის სექსისტურ განცხადებას.

საერთო ჯამში, გადაცემა იქნებოდა გაცილებით ინფორმაციული აუდიტორიისთვის, მისი ფორმატი მეტი ჩაძიებისა და დებატების საშუალებას რომ იძლეოდეს.

მთავარი აჭარაში

გადაცემა არჩევნების პირველი ტურის შემდეგ დაიწყო, იყო აქტუალური და საინტერესო, წამყვანი იცავდა მიუკერძოებლობის პრინციპს და სვამდა ნეიტრალურ კითხვებს. ის მეტნაკლებად მომზადებული იყო იმ თემებზე, რაზეც გადაცემაში ისაუბრეს.

გადაცემაში არ გვხვდება დისკუსია, წამყვანს არ გაუკეთებია განმარტება იყო თუ არა შეთავაზება დისკუსიაზე მმართველ პარტიასთან.

აჭარის ტელევიზია იყო ერთ-ერთი იმ მაუწყებელთაგანი, სადაც მონაწილეობას მმართველი პარტიის წარმომადგენლებიც იღებდნენ, თუმცა „ქართული ოცნების” წარმომადგენლების მიმართ წამყვანს არ ჰქონია საკმარისად კრიტიკული კითხვები, რაც მნიშვნელოვანი იყო დასმულიყო, რათა მაყურებელს მისცემოდა შესაძლებლობა მრავალმხრივი და სრულყოფილი ინფორმაცია მიეღო მიმდინარე პროცესზე.

სათქმელი

ტოქშოუ „სათქმელიც” არჩევნების პირველი ტურის შემდეგ დაიწყო. გადაცემის თემები იყო აქტუალური და საინტერესო, წამყვანი იცავდა მიუკერძოებლობის პრინციპს და სვამდა ნეიტრალურ კითხვებს. ამ შემთხვევაშიც გადაცემაში არ იყო დისკუსია და აქაც მმართველი პოლიტიკური გუნდის წარმომადგენელი მონაწილეობდა მონოლოგის რეჟიმში. წამყვანს არ გაუკეთებია განმარტება იყო თუ არა შეთავაზება დისკუსიაზე მმართველ პარტიასთან.

გადაცემის წამყვანი იყო მეტნაკლებად კრიტიკული „ქართული ოცნების” წარმომადგენლის მიმართ, თუმცა 5 ნოემბრის გადაცემაში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ის არ იყო შესაბამისად მომზადებული. მაყურებელს არ მიეცა შესაძლებლობა მიეღო კონკრეტული პასუხები კონკრეტულ პრობლემებზე, რაც გადაცემის მიმდინარეობისას იყო აქტუალური არჩევნებთან დაკავშირებით.

POSTV

აღნიშნულ არხზე მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას - „პოლიტიკური ინტერვიუ შალვა რამიშვილთან ერთად“, რომელიც 7 სექტემბრიდან ყოველ სამუშაო დღეს გადიოდა ეთერში, თუმცა არჩევნებამდე 1 კვირით ადრე აღნიშნული ტოქშოუ ჩაანაცვლა გადაცემამ „არჩევნები 2020”, რომელიც ანგარიშის დასრულებამდე დამონიტორინგდა.

პოლიტიკური ინტერვიუ შალვა რამიშვილთან ერთად

გადაცემის თემა უმეტესად დღის აქტუალურ საკითხებს ეხებოდა, თუმცა მისი სტუმრები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, უმეტესად ხელისუფლების წარმომადგენლები ან მასთან აფილირებული პირები იყვნენ. ხშირი იყო მმართველი პარტიის შედარებით უცნობი სახეების სტუმრობაც.

შალვა რამიშვილის გადაცემების დიდი ნაწილი ეთმობოდა ოპოზიციის, განსაკუთრებით კი „ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკას, მმართველი პარტიის წარმომადგენლებთან ერთად.

გადაცემაში ხშირი იყო წამყვანის მხრიდან ოპოზიციის, განსაკუთრებით კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მისამართით არაეთიკური, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ტერმინების გამოყენება.

წამყვანი, ძირითადად, არ იყო მომზადებული და არ სვამდა კრიტიკულ კითხვებს. ის არ მალავდა საკუთარ სიმპატიებს „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის მიმართ. მაგალითად, 29 სექტემბრის გადაცემაში წამყვანი ამბობს: „[ჩვენ] ქოცები ვართ. მე ვარ „ქართული ოცნების“ მომხრე. ყოველთვის ვიყავი. რაც შეიქმნა, რაც ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, მის პირველ წერილში ვარ მოხსენიებული და მივედი და მას მერე ვმუშაობ ნაცების გაქრობაზე“.

10 სექტემბრის გადაცემაში კი შალვა რამიშვილი თეა წულუკიანს ეუბნება: „თქვენ პარლამენტის მომავალი წევრი ხართ, დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ დამაჯერებლად მოიგებს ამ არჩევნებს“, 21 სექტემბრის გადაცემაში კი, წამყვანი „ქართული ოცნების“ კანდიდატს ეუბნება: “მე თქვენკენ ვარ… მოკლედ, ძალიან კარგი ტექნოკრატი ხართ. აი, საუბრობთ და მომწონს”, “მაია ბითაძე, პარლამენტის წევრი, ასე ვიტყვი”.

არჩევნები 2020

საპარლამენტო არჩევნებისთვის "Postv-მ" მათი განცხადებით, ანალიტიკური ტოქშოუ „არჩევნები 2020" შემოგვთავაზა, თუმცა 31 ოქტომბრამდე გადაცემებში მოსალოდნელ არჩევნებსა და ხელისუფლების დაპირებებზე საუბარს მცირე დრო დაუთმო.

ცვლილება ორი წამყვანის დამატებასაც შეეხებოდა, თუმცა ისინი იშვითად სვამდნენ კითხვებსა და მონაწილეებენ დებატებში, ძირითადად პირადი მოსაზრებებით ცდილობდნენ გაემყარებინათ შალვა რამიშვილისა და სტუმრების კრიტიკული შეფასებები ოპოზიციაზე.

გადაცემაში არ იყო დაცული ბალანსი, წამყვანები აშკარად მხარს უჭერდნენ ქართულ ოცნებას და აკრიტიკებენ მხოლოდ ოპოზიციურ ძალებს. შალვა რამიშვილი საკუთარ თავს ღიად მოიხსენიებდა ქართული ოცნების მხარდამჭერთა გუნდში. მაგალითად, 1 ნოემბრის გადაცემაში წამყვანმა განაცხადა შემდეგი: „გვაწყობს კიდეც ქართული ოცნების მხარდამჭერებს, რომ ეს შლეგები წავიდნენ საგიჟეთზე."

წამყვანები მიხეილ სააკაშვილისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს უწოდებდნენ დესტრუქციულს, კრიმინალურს, შლეგებს, გიჟებს, დეგენერატებს, პოლიტიკურ ნაგავს, რადიკალებს.

გადაცემაში ადგილი ჰქონდა ოპოზიციური პარტიის მიმართ დამცინავ დამოკიდებულებას ლგბტქ თემის წარმომადგენელი კანდიდატის ყოლისა და საზოგადოებისთვის ნაკლებად პოპულარული განცხადებების გაკეთებისთვის. 12 ნოემბრის გადაცემის დასასრულს შალვა რამიშვილმა აღნიშნა „არარსებული პარტიაა [რესპუბლიკური პარტია], პარტია, რომელიც ნახალოვკაში დააყენებს ლესბოსელს, იმად, რა ქვია ... რა ქუჩის პარტიაა, რომელი ქუჩის პარტიაა? რომელიც იძახის, რომ საპატრიარქოს უნდა შევუტიოთ და დაფინანსება შევუწყვიტოთო, ეს პარტიაა ქუჩის პარტია? აფხაზეთი სიმსივნეაო, რაში გვჭირდება აფხაზეთიო, აფგხაზეთის დედაც ვატირეო, ღიად ამბობენ, კაცო. ქუჩის პარტია შეიძლება არის, მაგრამ რომელი ქუჩის პარტიაა, საქართველოში ეგეთი ქუჩა არა გვაქვს, რომლის პარტიაც არის ეს პარტია"

კავკასია

„კავკასიის“ ეთერში საანგარიშო პერიოდიდან მონიტორინგდებოდა გადაცემა „ბარიერი“, ხოლო 7 სექტემბრიდან ასევე „პოლიტიკა არჩილ გამზარდიასთან ერთად“, რომელიც ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს გადიოდა ეთერში.

ბარიერი

გადაცემა ეხებოდა აქტუალურ თემებს. „ბარიერი“ სხვადასხვა ფორმატით გადიოდა ეთერში, საარჩევნო ფორმატში პარტიები იყვნენ მიწვეული ხედვებზე სასაუბროდ, დანარჩენ გამოშვებებში კი დღის ან კვირის მთავარ საკითხებს მიმოიხილავდნენ. აღსანიშნავია, რომ სტუმრების შერჩევის კრიტერიუმები საარჩევნო დებატების შემთხვევაში ნათელი და გასაგები იყო და ამ კრიტერიუმებს წამყვანი ყოველი გადაცემის წინ დეტალურად ხსნიდა.

დებატებში სტუმრების შერჩევის დროს გათვალისწინებული იყო მათი განსხვავებული პოლიტიკური მრწამსი, მაგალითად, 21 ოქტომბრის გადაცემაში - წამყვანმა განაცხადა, რომ სულ დაფიქსირებულია 18 კვალიფიციური სუბიექტი და იმისათვის რომ დებატები ეფექტური გამოსულიყო 9 მოიწვია ერთ გადაცემაში, ხოლო მეორე 9 23 ოქტომბრის გადაცემაში.

თუმცა, საარჩევნო დებატების მიღმა, გადაცემებში გაურკვეველი იყო, რის მიხედვით ხდებოდა სტუმრების შერჩევა. აღსანიშნავია, რომ გადაცემაში არ მიდიოდა მმართველი პარტია.

წამყვანი არ იყო სათანადოდ მომზადებული, ძირითადად არ სვამდა კრიტიკულ, დამაზუსტებელ შეკითხვებს. მისი კითხვები ზოგადი ხასიათის იყო. მაგალითად, 25 სექტემბრის გადაცემაში წამყვანი ირაკლი ოქრუაშვილს ეკითხება „ვისზე მუშაობთ საბურთალოზე თქვენ, ვინ არის თქვენი ამომრჩეველი, რატომ უნდა აგირჩიოთ, ვინ უნდა აგირჩიოთ“. სტუმარი ამბობს, რომ სწორედ მას ხელეწიფება საბურთალოს პრობლემების მოგვარება, თუმცა რა პრობლემებია საბურთალოზე და როგორ აპირებს მათ მოგვარებას, ამგვარ ხედვებს არ წარმოგვიდგეს და ამ თემაზე კითხვებს არც წამყვანი სვამს.

6 ოქტომბერს ნინო ბურჯანაძესთან ინტერვიუშიც წამყვანის მხრიდან არ ისმოდა არც ერთი კრიტიკული შეკითხვა რესპონდენტის მისამართით. გადაცემის დასრულებამდე დარჩენილ 10 წუთში პოლიტიკოსი საარჩევნო დაპირებებს იძლეოდა.. წამყვანი, სამწუხაროდ, ვერც ამ ნაწილში უწევდა სტუმარს საჭირო და შესაბამის ოპონირებას, ვერ სვამდა დამაზუსტებელ კითხვებს. მაგალითად, სტუმარი იძლეოდა გაზის და ელ. ენერგიის ტარიფის განახევრების დაპირებას. კითხვაზე როგორ, ბუნდოვან პასუხს

აძლევდა - ამბობდა, რომ ხელშეკრულებებში კორუფციულ ელემენტებს შეიცავს და როცა გადაიხედება ეს ხელშეკრულებები და გათავისუფლდება კორუფციული ელემენტებისგან, ტარიფის განახევრებაც შესაძლებელი იქნება.

„ხო, არ ვიცი ასე მარტივად იქნება თუ არა“, „რომ აღმოჩნდეს, რომ შეუძლებელია ტარიფის დაკლება?“ „ნუ, როგორც ჩანს ამაზე თქვენ ჩემზე მეტი იცით“ - ამ კითხვებით შემოიფარგლებოდა წამყვანი და სხვა დამატებით, დამაზუსტებელს არაფერს ეკითხებოდა. აღსანიშნავია, რომ სტუმარი ამ დაპირებებს ბროშურიდან კითხულობდა და წამყვანს შეეძლო, რომ გადაცემამდე გაცნობოდა ბროშურას და მოემზადებინა კონკრეტული საკითხები.

პოლიტიკა არჩილ გამზარდიასთან ერთად

გადაცემის თემები მიმდინარე, აქტუალური საკითხები იყო. საარჩევნო სუბიექტებთან საუბარი, ძირითადად, საარჩევნო გარემოს და ხელისუფლების კრიტიკას ეხებოდა.

წინასაარჩევნო პერიოდში კრიტიკულად მნიშვნელოვანია, მედიამ ისაუბროს არამხოლოდ წინასაარჩევნო გარემოზე ან მიმდინარე პოლიტიკურ თემებზე, არამედ აჩვენოს ამომრჩეველს ყველა ის ძირითადი აქტორი, რომელიც არჩევნებში მონაწილეობს და რომელსაც, ხელისუფლებაში მოსვლა სურს. მედიის ფუნქციაა კრიტიკულად გააანალიზოს, რამდენად რეალისტურია პარტიების დაპირებები და ხედვები. სწორედ ეს ეხმარება ამომრჩეველს, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება საარჩევნო ყუთთან.

გადაცემის სტუმრები ფაქტობრივად, არ საუბრობდნენ თავიანთ ხედვებზე სიღრმისეულად და არც წამყვანი სვამდა კონკრეტულ კითხვებს. მაგალითად, 28 სექტემბრის გადაცემაში „ალეკო ელისაშვილი -მოქალაქეების” წარმომადგენელი ალეკო ელისაშვილი საუბრობდა, რომ ქვეყნის გადარჩენის გზა განათლებასა და სოფლის მეურნეობაშია. თუმცა, არც ერთი კონკრეტული გეგმა, როგორ აპირებს ის საბურთალოელების ინტერესების დაცვას პარლამენტში, არ წარმოუდგენია და წამყვანსაც ამ მიმართულებით არაფერი უკითხავს.

წამყვანი კრიტიკულია ხელისუფლების მიმართ და ეს ყველა გადაცემაში იგრძნობოდა. მაგალითად, 1 ოქტომბრის გადაცემას წამყვანი იწყებს: „დემოკრატიული ღირებულებების და ადამიანის უფლებების დაცვის ლოზუნგით მოსული „ქართული ოცნება“ კი კვლავ ძალადობრივი რეჟიმის მემკვიდრეებად და მწარმოებლებად გვევლინება ისე, რომ პრაქტიკულად შეინარჩუნა ძველი ძალადობრივი სისტემები და ახალიც მიუმატა, მხოლოდ ისე, რომ მათი შეფუთვა უკეთ ისწავლა“.

ასეთივე შესავლით იწყებს წამყვანი 22 ოქტომბრის გადაცემას: „ქართული ოცნება ძალა, რომელიც ეთიკაშიც მოიკოჭლებს და გონიერებაშიც. ქართული ოცნება, რომელიც იმ

დროსაც კი უტიფარია, როდესაც არჩევნების ბედი გაურკვეველია. არ იქნება ძნელი იმის წარმოდგენა რა გახდება ის თუკი ხელისუფლებაში დარჩება."

31 ოქტომბრის შემდგომ გადაცემები მუდმივად ეთმობოდა არჩევნების შედეგების განხილვასა და ოპოზიციის ბოიკოტს. როგორც პირველ ტურამდე, ისე კენჭისყრის დღის შემდგომ პერიოდში გასულ გადაცემებში არ მონაწილეობნენ ქართული ოცნების წარმომადგენლები.

ობიექტივი

ტელეკომპანია „ობიექტივზე" მონიტორინგდებოდა გადაცემა „ღამის სტუდია", რომელიც, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ყოველ დღე 22:30 საათზე გადიოდა ეთერში.

ღამის სტუდია

გადაცემას თითქმის არასდროს ჰქონია თემა და კონკრეტული ფოკუსი. ერთ გამოშვებაში საუბრობდნენ უამრავ სხვადასხვა თემაზე, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის. გადაცემის წამყვანები თითქმის არასდროს იყვნენ მომზადებული იმ თემებზე სასაუბროდ, რასაც გადაცემაში განიხილავენ. გადაცემის წამყვანი იშვიათად სვამდა კითხვებს და მეტწილად მოსაზრებების გამოხატვით და რეპლიკებით შემოიფარგლებოდა.

გასული წლების მსგავსად, აღნიშნული გადაცემა „პატრიოტთა ალიანსის" სამაუწყებლო პლატფორმა იყო, სადაც არასდროს ყოფილა წარმოდგენილი განსხვავებული აზრი - გადაცემის შინაარსი მუდმივად ემსახურებოდა იმ გზავნილების გაძლიერებას, რომელიც აქვს „პატრიოტთა ალიანსს".

გადაცემის სტუმრები, ძირითადად, იყვნენ „პატრიოტთა ალიანსის" წევრები ან ამ პოლიტიკურ ძალასთან დაკავშირებული ადამიანები. წამყვანებიც ძირითადად თანხვედრაში იყვნენ „პატრიოტთა ალიანსის" წარმომადგენელ სტუმრებთან, იქმნებოდა შთაბეჭდილება რომ მათ შორის იმართებოდა მეგობრული საუბარი. 13 ნოემბრის გადაცემაში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც წამყვანმა ამ პარტიის ლიდერისგან შენიშვნაც კი მიიღო კონკრეტულ გადაცემასთან დაკავშირებით.

„ღამის სტუდიაში“ ხშირად გვხვდებოდა ანტიდასავლური პროპაგანდა. დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც გადაცემის ნაწილი იყო რუსულ ენაზე.

საანგარიშო პერიოდში გავიდა გადაცემები, რომელიც იყო საარქივო ჩანაწერი, თუმცა, მას მითითება არ ჰქონია.

გადაცემაში ისმიოდა სიძულვილის ენა, იყო ქსენოფობიური გამონათქვამები, განსაკუთრებით, მძლავრი იყო თურქოფობია. წელსაც „პატრიოტთა ალიანსის“ მთავარი ფოკუსი იყო აჭარა და თურქული ექსპანსია. შესაბამისად, გადაცემის წამყვანი და სტუმრებიც ხშირად ავრცელებდნენ თურქოფობიულ განცხადებებს. გადაცემის წამყვანი არათუ ემიჯნებოდა და ზღუდავდა სიძულვილის ენის გამოყენებას, არამედ პირიქით, ხელს უწობდა და ახალისებდა მას და ზოგიერთ შემთხვევაში თავად ავრცელებდა.

მაგალითად, 14 სექტემბერს, წამყვანის მხრიდან ისმის შეცდომაში შემყვანი, არასწორი ინფორმაცია, რომელიც ფაქტადა იყო წარმოჩენილი. გარდა ამისა, ეს განცხადებები თურქოფობიური და პრორუსულია და მიზნად აუდიტორიის მანიპულირებას და შეცდომაში შეყვანას ისახავდა. წამყვანი ე.წ სამშვიდობოებს წარმოაჩენდა, როგორც „გაეროს ეგიდით მომუშავე სამშვიდობო ჯარს“, ხოლო ნატოს, „თურქულ ნატოს“ უწოდებს და მისგან მომავალ აბსურდულ საფრთხეებზე საუბრობდა.

„ჩვენ გვახსოვს სამშვიდობო ჯარები რუსების. ისინი, ხომ თავიანთი ინიციატივით... ასეა თუ ისეა, სამშვიდობო ჯარი იყო და ეს იყო გაეროს ეგიდით. ეხლა, ნატოზე როდესაც არის საუბარი, ნატო, თურქული ნატო მოგვცემს ჩვენ რაიმე დივიდენტებს პოლიტიკურს?არ არის საშიში თურქული ნატო საქართველოში? მითუმეტეს ამ სიტუაციაში, ხო? ჩვენ ხომ ვიცით, რომ აჭარაში რა ცუდი მდგომარეობაა.მე არ ვამბობ, რომ იქ ავტომატებით გვესვრიან. როცა შენი მიწა გაყიდულია, მე რომ ვიყო ახლა მფლობელი ამ შენობის, არ მექნება ადრე თუ გვიან პრეტენზია, რომ იცით რა არის, ეს შენობა ჩემია და ძალიანა გთხოვთ, რა, თუ შეიძლება, ამას ანგარიში გაუწიეთ. არ არის ეს საშიშროება?“

გადაცემაში დაფიქსირდა სექსისტური განცხადებები. მაგალითად, 17 სექტემბერის გადაცემაში სტუმრის - ნანა დევდარიანის მხრიდან გაჟღერდა სექსისტური განცხადება: „კანდიდატებს რაც შეეხება, მათგან ყველაზე გამოსაყოფი არის ელენე ხოშტარია. ეჭვი მეპარება, რომ ვაკის ამომრჩეველმა მხარი დაუჭიროს მანქანების კაპოტზე ახტომას, სასტვენით სირბილს, რაღაც უაზრო განცხადებებს. ახლა მე არ მიყვარს ქალი პოლიტიკოსების კრიტიკა. ვთვლი, რომ რაც მეტი ქალი იქნება პოლიტიკაში, მით უფრო ადამიანური სახე იქნება იმ პოლიტიკას, მაგრამ არის რაღაც ზღვარი, რომელსაც არც ქალმა უნდა გადააბიჯოს და არც კაცმა, მით უმეტეს - ქალმა“. სტუმრის ამ განცხადებაზე წამყვანს რეაგირება არ ჰქონია, შესაბამისად, არხის ეთერი სექსისტური განცხადების ტრიბუნად იქცა.

31 ოქტომბრის შემდგომ გადაცემებში „პატრიოტთა ალიანსისთვის" არჩევნების გაყალბების თემა მუდმივად იდგა დღის წესრიგში. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ წამყვანი ცდილობდა „პატრიოტთა ალიანსის" მიერ დაანონსებულ აქციაზე პარტიის მხარდამჭერების მობილიზებას.

მაესტრო

სამონიტორინგო პერიოდში მაესტროს ეთერში არ გასულა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა.